



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

სარჩელის წარმოებაში მიღების, მტკიცებულებათა გამოთხოვისა და სასამართლოს მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ

7 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. ზესტაფონი

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ზურაბ ბალავაძე

მოსარჩელე - საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშია“;

წარმომადგენელი: რობიზონ ხურცილავა;

მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია;

დავის საგანი - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 4 ნოემბრის N23/2020, N24/2020, N25/2020, N26/2020 და 5 ნოემბრის N27/2020 განკარგულებების ბათილად ცნობა; დაევალოს N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2020 წლის 7 ნოემბერს, საარჩევნო ბლოკის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშია“ წარმომადგენელმა - რობიზონ ხურცილავამ სარჩელით მომართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმართ. მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 4 ნოემბრის N23/2020, N24/2020, N25/2020, N26/2020 და 5 ნოემბრის N27/2020 განკარგულებები; დაევალოს N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

სასამართლომ შეამოწმა სარჩელი თანდართული მასალებით და მიიჩნევს, რომ იგი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მიღებული უნდა იქნას წარმოებაში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალსა და მოთხოვნის მონაწილე, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.



ამდენად, დავის საგნიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირებად ჩაბმული უნდა იქნენ: ტყიბულის N57 საარჩევნო ოლქის №21.57.11, N21.57.35, N21.57.26 საარჩევნო უბნები, N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის N21.51.41, N21.51.02, N21.51.24 საარჩევნო უბნები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ხოლო ამავე კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გარდა, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი საქმის ობიექტურად გადაწყვეტის მიზნით, №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაევალოს წარმოადგინოს ამავე კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 4 ნოემბრის N23/2020, N24/2020, N25/2020, N26/2020 და 2020 წლის 5 ნოემბრის N27/2020 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების დამოწმებული ასლები სრულად, მათ შორის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშიას“ წარმომადგენლების N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიაში - ნატო კეჭელმადის განცხადება/საჩივრების (საოლქოში რეგ. N124/2020, N125/2020, N126/2020, N127/2020), ასევე, მამუკა ჭიჭინაძის განცხადება/საჩივრების (საოლქოში რეგ. N416/2020, N417/2020, N418/2020, N419/2020) წარმოდგენა.


სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-4, მე-19, მე-16 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 445-446-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშიას“ სარჩელი მიღებული იქნეს სასამართლოს წარმოებაში;

2. №3/99-2020 ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ: ტყიბულის N57 საარჩევნო ოლქის №21.57.11, N21.57.35, N21.57.26 საარჩევნო უბნები, N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის N21.51.41, N21.51.02, N21.51.24 საარჩევნო უბნები;

3. მძვასუბე №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევალოს: ამავე კომისიის თავმჯდომარის 2020 წლის 4 ნოემბრის N23/2020, N24/2020, N25/2020, N26/2020 და 2020 წლის 5 ნოემბრის N27/2020 განკარგულებების გამოცემასთან დაკავშირებით არსებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების წარმოდგენა. მათ შორის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშიას“



წარმომადგენლების N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიაში - ნატო კეჭელაძის განცხადება/საჩივრების (საოლქოში რეგ. N124/2020, N125/2020, N126/2020, N127/2020), ასევე, მამუკა ჭიჭინაძის განცხადება/საჩივრების (საოლქოში რეგ. N416/2020, N417/2020, N418/2020, N419/2020) წარმოდგენა - 2020 წლის 7 ნოემბრის 18:00 საათამდე;


4. წინამდებარე სარჩელზე მოპასუხე - №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა - 2020 წლის 7 ნოემბრის 18:00 საათამდე;

5. საქმეზე დაინიშნოს მთავარი სხდომა 2020 წლის 8 ნოემბერს, 14:00 საათზე ზესტაფონის რაონულ სასამართლოში (მდებარე: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N7), რის შესახებაც მხარეებს ეცნობოთ კანონით დადგენილი წესით;

6. განჩინება მესამე პირად ჩართვის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, მხოლოდ საქმეში ჩაბმული მესამე პირების მიერ;

7. განჩინება დანარჩენ ნაწილში არ საჩივრდება.

მოსამართლე



ზურაბ ბალავაძე